მოსწავლეთა 68-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია

ქალაქი: თბილისი

რაიონი: გლდანი - ნაძალადევი

სკოლა: სსიპ № 207 საჯარო სკოლა

სექცია: მათემატიკა

თემა: ლეონარდო და ვინჩი

მოსწავლე: თეონა მახარაშვილი

კლასი: IX

თემის ხელმძღვანელი: მანანა გადელია

2013-14 სასწავლო წელი

ლეონარდო და ვინჩი

სარჩევი

1. თემის მიზანი
2. ლეონარდო და ვინჩის ბიოგრაფიული მონაცემები
3. ნახატების განხილვა
4. ლეონარდო მეცნიერების სხვადასხვა დარგში....
5. რჩევები ლეონარდოსგან.....
6. ავტორის სიტყვა...
7. საინფორმაციო წყარო.

მიზანი

ლეონარდო და ვინჩიზე, არც ისე ბევრი მსმენია, ვიცოდი, რომ ზგაპრულად ხატავდა, ისიც გაგებული მქონდა, რომ ის არაერთ სფეროში მოღვაწეობდა, თუმცაღა ეს ყველაფერი არც ისე დაწვრილებით ვიცოდი, ამიტომ გადავწყვიტე უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ამ გენიალურ ადამიანს, შეძლებისდაგვარად გავცნობოდი მის მიღწევებს, აღმოჩენებს, ამიტომ გადავწყვიტე ლეონარდო გავაცნო მოკრძალებულად ჩემს თანატოლებს, რათა ჩვენ, ახალგაზრდა თაობამ დავაფასოთ მსოფლიო დონის გენიოსი ადამიანი ლეონარდოს სახით. ამ თემაში არ მინდა დაინახოთ მხოლოდ ერთი გენიალური ადამიანის ცხოვრება, მე მინდა ამ თემამ ასწავლოს მკითხველს, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსასრულოა, მთავარია მონდომება, დაუღალავი შრომა... და რაც მთავარია არასდროს დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს, ყოველთვის ახლის ძიებაში უნდა ვიყოთ, სწორედ ეს დავინახე მე ლეონარდოს პიროვენბაში, ამთემის დაწერის მიზანიც სწორედ ესაა, დავინახოთ ჩვეულებრივში რაღაც გენიალური.....

ლეონარდო და ვინჩი დაიბადა 1452 წელს, მომავალი გენიოსის მამა პიერო და ვინჩი მდიდარი ნოტარიუსი და მიწათმფლობელი იყო, ყველაზე ცნობილი ადამიანი ფლორენციაში, ხოლო დედა-კატერინა, უბრალო ქალი იყო.

ლეონარდო მათ უკანონოდ შეეძინათ; იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხატვით.

1466 წელს, 14 წლის ლეონარდო გადავიდა საცხოვრებლად ფლორენციაში, სადაც მამამ სასწავლებლად სამხატვრო სახელოსნოში–ანდრეა ვეროკიოს მიაბარა. 1460–1476 წლები ლეონარდომ ვეროკიოს სახელოსნოში გაატარა. 20 წლის ასაკში ის უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო. შეიძლება ითქვას,

რომ ლეონარდო უმეტესწილად თავისით ხატავდა. 1478 წელს მან საკუთარი სახელოსნო გახსნა 1482 წელს და ვინჩი ტოვებს ფლორენციას და საცხოვრებლად გადადის მილანში, რომელსაც იმ პერიოდში მართავდა ლუდოვიკო მორო, მან და ვინჩი, როგორც ხუროთმოძღვარი და მუსიკოსი ისე მიიწვია, მანვე დაავალა აკადემიის დაარსება, სადაც ლეონარდომ დაწერა ,,ტრაქტატი ფერწერაზე"- ყველა დროის მხატვართა სამაგიდო წიგნი. ცნობილია, რომ თავისი ფერწერული ტილოების შესაქმნელად დადიოდა მილანის ქუჩებსა და სამიკიტნოებში, სწავლობდა ადამიანის სახეებს. 1513-1519 წლებში იგი მონაცვლეობით ცხოვრობდა რომში, პავიაში, ბოლონიასა და საფრანგეთში. ეპოქა, რომელშიც ლეონარდო და ვინჩი მოღვაწეობდა, იყო **,,უგვირგვინო მეფეების"**, მედიჩის ვისკონტის, ესტეს ეპოქა. ლეონარდო კი ამ ბრწყინვალე ეპოქის პირმშო იყო. განსაცვიფრებელია მისი ნიჭის უსაზღვრო მრავალფეროვნება. არ დარჩენილა მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელშიც მას თავისი წვლილი არ შეეტანა: მათემათიკა, ფიზიკა მექანიკა, ოპტიკა, გეოლოგია, გეოგრაფია, ასტროლოგია, ბიოლოგია, სამხედ-რო და სამოქალაქო არქიტექტურა -აი მეცნიერების დარგები, რომელსაც ამაგი დასდო ამ საოცარმა პიროვნებამ. ლეონარდო და ვინჩი იყო იმ რჩეულთაგანი, რომელთაც შეიძლება ეწოდოთ ,, უნივერსალური ადამიანი"

ლეონარდო, უპირველეს ყოვლისა, იყო მეცნიერი, რომელიც ფერწერაში ხედავდა თავისი სამეცნიერო ექსპერიმენტების განხორციელების სფეროს. იგი გატაცებული იყო გარკვეული სამეცნიერო პრობლემებით, რომელსაც თავის ნაწარმოებებში ცდიდა. იგი უსასრულოდ ატარებდა ექსპერიმენტებს, რომელთა შედეგები სურათებში უნდა გამოვლენილიყო. მისთვის ხელოვნება და მეცნიერება განუყოფელი იყო. იგი ხშირად აიგივებდა ადამიანის შემოქმედების ამ ორ სფეროს. **,,ფერწერის მეცნიერება"**- ასეთი გამოთქმა არაერთგზის გვხვდება მის ნაწერებში. ლეონარდო განსაკუთრებული ენთუზიაზმით იწყებდა ყოველ ახალ სამუშაოს. წმინდა მხატვრულ ამოცანასთან ერთად მას მუდამ იზიდავდა ტექნიკური საშუალებების სრულყოფა, საღებავთა შემადგენლობის ცვალებადობა, ექსპერიმენტები ფერის დარგში. საათობით იდგა თავისი ქმნილების წინაშე და, როგორც ჩანს, კრიტიკულად აფასებდა სამუშაოს. დამსწრეთ აოცებდა, რომ მხატვრის ხანგრძლივი ფიქრების შედეგი ფუნჯის მხოლოდ ერთი მოსმით იქმნებოდა. ლეონარდოს ფერწერა ყოვლისშემძლედ მიაჩნდა, რადგან მას შეეძლო აესახა სამყაროს მთელი მრავალგვარობა, ბუნების მოვლენათა მთელი მრავალფეროვნება, მაგრამ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მისთვის იყო **ა დ ა მ ი ა ნ ი** ლამაზი, ღირსეული ადამიანები

მასში სიყვარულსა და აღტაცებას იწვევდა. იგი მხატვრებს მოუწოდებდა დაკვირვებოდნენ ადამიანებს მათ სახეებს, მოძრაობებს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გარემოში. იგი ურჩევდა მხატვრებს, ყურადღება მიექციათ მოსაუბრე ადამიანებისთვის, როდესაც ისინი თავისუფალნი არიან და ვერ ამჩნევენ სხვის ყურადღებას. აუცილებელია დაკვირვება, თუ რა გავლენას ახდენს საუბრის თემა და ადამიანის განწყობილება მის გამომეტყველებასა და მოძრაობებზე. ლეონარდოს ჩანახატები ამგვარ დაკვირვებათა უამრავ მაგალითს გვიჩვენებს. მათში ზუსტად არის დაჭერილი ფსიქოლოგიური განცდის სიღრმე, განსხვავებულ განწყობილებათა გარეგნული გამოვლინებების კანონზომიერებანი. სიყვარულით აღსავსე თვალებით უყურებდა იგი გარემოს. თანამედროვე გადმოცემით, იგი ხშირად დადიოდა ბაზარში, სადაც მის ყურადგებას იპყრობდა ნაირ-ნაირი ფრინველები. იგი ყიდულობდა ფრინველებს, მხოლოდ იმისთვის, რომ გაეხსნა გალიის კარი, გაეთავისუფლებინა ისინი და დამტკბარიყო მათი თავისუფალი ნავარდით. **ლეონარდო ამბობდა** „ფრინველები მათემატიკური კანონებით მოქმედი ინსტრუმენტია, რომლის დამზადებაც სავსებით შეუძლია ადამიანს".

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ლეონარდომ არც ისე ბევრი ფერწერული ნაწარმოები შექმნა. მათი უმეტესი ნაწილი დაიღუპა. ბევრი სურათი დაუმთავრებელი დარჩა, ამდენად გენიალური ლეონარდოს რეალური მხატვრული მემკვიდრეობა, ძალზე უმნიშვნელოა მისი შემოქმედების განუზომლად დიდ მხატვრულ-ისტორიულ მნიშვნელობასთან შედარებით. იგი ვერ ასწრებდა დაწყებული სამუშაოს დამთავრებას, რადგან სწრაფად აღწევდა საწადელს, მიღწეული მას აღარ აინტერესებდა. ყოველი ნაწარმოები მისთვის მხოლოდ საფეხური იყო შემდგომი მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად. მის შემოქმედებას მიეკუთვნება: „მადონა ლიტა", „ მონა ლიზა" , „საიდუმლო სერობა", „ მადონა ბენუა", „ ნათლისღება„ დიდი კოლოსი", „ მადონა მღვიმეში" და სხვა. ლეონარდო რამდენიმე პროფესიას ფლობდა, იგი

ერთდროულად მხატვარი, სკულპტორი, მოქანდაკე, მუსიკოსი, ანატომი, არქიტექტორი, მეცნიერი, ინჟინერი იყო. და ვინჩი 1519 წელს გარდაიცვალა კლუას ციხე-სიმაგრეში. არც მის მოღვაწეობამდე და არც მისი მოღვაწეობის შემდეგ ისტორიაში არ არსებობდა მსგავსი ადამიანი, ყველაფერში გენიალური. ლეონარდო შთამომავლობისთვის ბრძენ მოხუცად **„ღვთაებრივ ლეონარდოდ"** დარჩა. მის შესახებ მისი ერთგული მოსწავლე და მეგობარი, ფრანჩესკო მელცი წერდა: ..ბუნებას არ შესწევს ძალა შექმნას კიდევ ერთი ასეთი ადამიანი". ჯორჯო ვაზარის შეხედულება კი დღესაც ჟღერს მთელი თავისი აქტუალობით: „იგი შექმნილია იმ „თანამედროვე მანერისა", რომელსაც გამოარჩევს ნახატის ძალა და გამბედაობა. მას ახასიათებს ბუნების ყველა დეტალის უნატიფესი მიბაძვა, უკიდურესი მოწესრიგებულობა, პროპორციული სიზუსტე, ღვთაებრივი გრაცია; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მას შეეძლო მიენიჭებინა ფიგურებისთვის მოძრაობა და სუნთქვა".

ნახატის განხილვა

ლეონარდომ აირჩია მისი დროისთვის მეტად ჩვეულებრივი თემა: მადონა ყრმით -დედობის ამ სიმბოლოს უმღეროდნენ აღორძინების ეპოქის მხატვრები. ლეონარდოს მადონა თავის პირმშოს ყვავილს აწვდის და ნაზი ღიმილით უთვალთვალებს; რა მოუხერხებლად ეტანება ჩვილი ყვავილს. მაყურებლის წინ სრულიად უბრალო ცხოვრებისეული სცენაა. რეალობის მისაღწევად ლეონარდო ცდილობდა გამოსახულება უფრო რელიეფური და მოცულობითი ყოფილიყო.

„საიდუმლო სერობა”–ეს ნახატი ლეონარდო და ვინჩიმ 1495-1497წლებში დახატა. თემა ნასესხებია ცნობილი ლეგენდიდან:„მტრების მიერ დევნილი ქრისტე ვახშამზე (სერობაზე) საიდუმლოდ ხვდება თავის მოწაფეებს, აძლევს მათ დარიგებებს და წინასწარმეტყველებს: „ერთი თქვენგანი გამცემს მე”-ყველა განცვიფრებულია და ცდილობს გამოიცნოს მოღალატე.

ლეონარდომ ბრწყინვალედ აღწერა ადამიანის სულის მოძრაობა,

თითოეულისთვის დამახასიეთებელი სახე. მარცხენა მხრიდან გულუბრყვილო, მოუხეშავი კაცი წამომდგარა მთელი ტანით დაყრდნობია მაგიდას და განცვიფრებული შეჰყურებს ქრისტეს. მის გვერდით მყოფს ხელები უკან წაუღია ფრთხილად, წყნარად, ეხება მეზობლად მჯდომ მოხუცის მხარს, რომელსაც დანა მოუმარჯვებია, წამომხტარა და მზადაა ეცეს მოღალატეს, მოღალატე კი მის გვერდით ზის იუდას შეშინებული სახე აქვს, თავი უკან გადაუწევია, ხელები უხერხულად აუშვერია თითქოს თავს დაცვა სწადია, თან გამჟღავნების ეშინიაო, მაგრამ ქისა მაინც ჩაუბღუჯავს, რომელშიც ღალატისთვის მიღებული 30 ვერცხლი უდევს. მოსასხამების ფერები ისეა შერჩეული, რომ ფერთა სიძლიერე ცენტრისკენ მატულობს,რაც ხაზს უსვამს ქრისტეს ფიგურის მნიშვნელობას,რომელიც გამოირჩევა მოცისფრო პეიზაჟის ფონზე.

,,საიდუმლო სერობის" შექმნის დროს ლეონარდო უდიდესი პრობლემის წინაშე დადგა; მას უნდა განესახიერებინა სიკეთე ისეოს სახით და ბოროტება იუდას სახით. ლეონარდომ ხატვა შეწყვიტა და მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო ,როდესაც იდეალურ მოდელებს მიაგნო. ერთხელ მხატავარი მომღერლების გუნდის გამოსვლას ესწრებოდადა ერთ-ერთ ყმაწვილ მომღერალში ქ რ ი ს ტ ე ს ნათელი სრულყოფილი სახე შეიცნო. ახალგაზრდა სახელოსნოში მიიწვია და რამედენიმე ჩანახატი გააკეთა. სამიწელიწადში მხატვარმა ტილო დაასრულა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაგნო ტიპაჟს. რომელიც იუდას დასახატად გამოდგებოდა. ფრესკის დამკვეთი კარდინალი არ ჩქარობდა. გარკვეული ხნის შემდეგ ლეონარდომ მთვრალი, ჩამოძენძილი, ნაადრევად დაბერებული კაცი აღმოაჩინა, ეტიუდის შესაქმნელად დრო აღარ რჩებოდა და მხატვარმა თანაშემწეებს უბრძანა, ტაძარში წაეყვანათ იგი. გაჭირვებით მიათრიეს ეკლესიაში და ლეონარდომ დახატა იუდა-მის სახეზე აღბეჭდილი იყო ცოდვა. ეგოიზმი, ბედუკუღმართობა, როდესაც მხატვარმა სამუშაო დაასრულა, გამოფხიზლებულმა მათხოვარმა თვალი გაახილა, გაოცებულმა მიმოიხედა და როგორც კი ნახატი დაინახა, შეშინებულმა წამოიყვირა: -ეს ნახატი მე ნანახი მაქვს!

-კი მაგრამ საიდან?-გაუკვირდა ლეონარდოს.

-სამი წლის წინ სანამ ყველაფერს დავკარგავდი, გუნდში ვმღეროდი, მომავალის იმედი მქონდა....ერთმა მხატვარმა წამიყვანა და ჩემი სახე ქრისტეს

დასახატად გამოიყენა.....

ფრესკის ზომებია 450*870სმ და გამოსახულია მონასტრის სატრაპეზოს კედელზე. ამ ნახატმა მსოფლიოში ახალი სიტყვა თქვა, რადგან გამოყენებულია პერსპექტივის კანონები და ჩრდილების ეფექტი, რომელმაც ახალი გზა გაუხსნა დასავლეთევროპულ მხატვრობას. ნახატზე გამოკვეთილია ქრისტიანეული რწმენის მთავარი სიმბოლოს, სამების მნიშვნელობა: მოციქულები დამ-სამად სხედან მაგიდასთან, ოსეოს უკან სამი სამრეკლოა, ისესო ქრისტეს ფიგურის კონტურები სამკუთხედს ქმნიან. საიდუმლო სერობა იტალიური რენესანსის ერთ-ერთ დიდებულ ნიმუშად ითველბა. ეს ფრესკა უფრო მეტია, ვიდრე ნახატი, რადგან მეცნიერები მასზე მუმიბად მუშაობენ და ცდილობენ ამოხსნან იტალიელი გენიოსის ნამუშევრის საიდუმლოებები.

ლეონარდო ძალიან ჩაკეტილი ადამიანი იყო.ის თავის უბის წიგნაკში პირიქით წერდა,ამიტომ მას ვერავინ კითხულობდა.ზოგი ფიქრობდა,რომ მის მეცნიერულ კვლევებში შავი მაგია ერია. ის ცაცია იყო, რაც იმ დროისთვის უჩვეულოდ ითვლებოდა. ლეონარდო ძლიერი და გულუხვი ადამიანი იყო ამავდროულად ძალიან კეთილიც, მან იშვილა ერთი ბიჭი ...ხალხი მას პატიჟებდა წვეულებებზე. ის საუბრობდა სანტერესო თემებზე და ხალხს მისი ჭკვიანური იუმორიც მოწონდა.

იგი მღეროდა და უკრავდა მის მიერ გამოგონილ საკრავზე, ლეონარდო ყოველთვის კაარგად ჩაცმული დადიოდა უჩვეულო სახლებში ცხოვრობდა.ი გი ძალიან სუფთა ადამიანი იყო, ვერ იტანდა უყწესრიგობას, არეულობას, თითებზე საღებავს. ასევე ვეგეტარიანელი იყო.

სიცოცხლის განმავლობაში მან მთელი იტაილია შემოიარა, ერთხელ როცა სამსახურს ეძებდა მან ჩამოწერა 36 რამ რაც უნდა გაეკეთებინდა. ლეონარდო მუშაობდა რომის პაპთან და მეფე ფრანცის პირველის კარზე, სადაც ძალიან მოწყენილი იყო ხოლმე, რადგან სხვებს უფრო ბევრი სამუშაო ჰქონდა ვიდრე მას. ლეონარდო და ვინჩი,ე რ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და გენიოსი ადამიანი იყო, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ხელოვნებაში.

თავისი სიცოცხლის უკანსაკნელი ორი ათეული წელი ლეონარდომ ხეტიალში გაატარა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. ეძებდა, მაგრამ ვერსად ვერ ჰპოვა საქმე, მის ნიჭს, რომ შესაფერისად გამოავლენდა. ამ პერიოდის ნაწარმოებთანაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პორტრეტი, რომელიც ლუვრში ინახება და მთელს მსოფლიოში ცნობილია ,, ჯოკონდას'' სახელით.

სურათზე გამოსახულია ახალგაზრდა ქალი.მისი გულისყურიანი მზერა,ოდნავ გაპობილი ბაგე და შეფარული ღიმილი ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობილებებსა და გრძნობებს გამოხატავს: ჩაფიქრებას, ოცნებას,დახშულ ნაღველს და ირონიასაც კი. შეუქჩრდილის ჰაეროვანი ლიცლიცი ფორმების რელიეფს ქმნის, სახის მიმიკის გახსანა, გვიქმნის რთული სულიერი ცხოვრების, სინატიფისა და სინაზის შთაბეჭდილებას. ლეონარდოს ამ ნაწარმოებში მთელი ყურადღება გადატანილია ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყაროს

გახსნაზე,როგორადაც ეს ფერწერას ძალუძს.



,,მონა ლიზა''-ახალგაზრდა ქალბატონის პრტრეტი ლეონარდო და ვინჩიმ დაახლოებით 1503-1507 წლებში დახატა. იგი ლუვრშია გამოფენილი. ნახატის სრული სახელია -ქალბატონ მონა-ლიზა ჯოკონდას პორტრეტი. ლეონარდოს არც ერთ ნახატში ისე არ არის გადმოცემული ნახატის სიღრმე და ატმოსფერული სიბრტყე, როგორც მონა ლიზაში.

მხატვარმა გამოიყენა ,,ოქროს მართკუთხედი'', რომელიც იწყება მისი მარჯვენა მაჯიდან, მარცხენა იდაყვამდე და აღწევს თავს. ეს დიდი ,,ოქროს მართკუთხედი'' პატარა მართკუთხედებად იყოფა და ქმნის ,,ოქროს სპირალს''. მართკუთეხედები იქმნება ნიკაპთან, თვალთან, ცხვირთან. ასევე ცნობილია, რომ მონა ლიზას სხეულის ფორმას სამკუთხედი წარმოადგენდა.

ნათლისღება- (1475-1478) უფიცის გალერეაიტალია;

ხარება-(1475-1480) უფიცის გალერეა...

კლდეთა მადონა- (1480-1483)

მექანიკა და მათემატიკა

ლეონარდოს დახატული აქვს უამრავი ისეთი ტექნიკის

მოდელი, რომელსაც, მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე საუკუნეებში სიზმარშიც ვერ ნახავდნენ. წარმოგიდგენთ რამოდენიმე მათგანს:



ეს ლეონარდოს მიერ დახატული თვითმფრინავის მოდელია, იმ დროს კი თვითმფრინავი ხალხს სიზმარში თუ დაესიზმრებოდათ.



ლეონარდო უდიდესი მათეატიკოსიც იყო. იგი წერდა ტრაქტატებს გეომეტრიაში, იკვლევდა წრის ფართობის გამოანგარიშების პრობლემას. მუშაობდა პითაგორას თეორემაზე და სხვ. ლეონარდო წარმატებით თანამშრომლობდა ფრანცისკანელ ბერთამ, მათემატიკოსთან ლუკა პაჩოლისთან, რომელიც გახლდათ ღვთაებრივი პროპორციების ტრაქტატის ავტორი. ლუკა პაჩლის წიგნი ლეონარდოს ნახატებით იყო ილუსტრირებული.



ინჟინერია

ეს ტანკის მოდელია. თქვენ ხედავთ ლულას და ჩასაჯდომს ზემოთ. იმ დროს კი როდესაც ლეონარდო მოღვაწეობდა, არამცთუ ტანკი არამედ ზარბაზანიც არ იყო გამოგონებული.



ეს ლეონარდოს მიერ შესრულებული ჰიდრავლიკური მანქანის მოდელია. რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარებაში.



ანატომია

იტალიელი მხატვრები საგულდაგულოდ სწავლბდნენ ანატომიას. ლეონაროც არ ყოფილა გამონაკლისი. ცნობილია, რომ ის იპარავდა უპატრონო გვამებს და საიდუმლოდ კვეთდა მათ. ცდილობდა საკუთარი თვალით ენახა კუნთების, ძვლების, სხვადასხვა ორგანოს აგებულება. ჩვენამდე მოაღწია ადამიანის მუსკულატორის, სისხლძარღვოვანი სისტემის, ჩონჩხის მის მიერ შესრულებულმა ჩანახატებმა. მას დედის წიაღში მყოფი ნაყოფის ფორმა, მოძრაობა და მდებოარეობაც აინტერესებდა, რასაც მისი არაერთი ჩანახატი ადასტურებს.

ლეონარდო-მოქანდაკე

მილანში ყოფნისას ლუდოვიკო მორომ ლეონარდოს მათი გვარის დაამაარსებლის ჰერცოგ ფრანჩესკო ფორცას ქანდაკება შეუკვეთა,რომელიც ქალაქის მთავარ მოედანზე უნდა დამდგარიყო. ლეონარდომ ამ მონუმენტზე 10

წელი იმუშავა და დიდი მოსაზადებელი სამუშაო ჩაატარა,შექმნა უამრავი ჩანახატი, ასევე, მონუმენტის გადასაადგილებელი მოწყობილობა; თავის მეგობარ მათემატიკოსს ლუკა პაჩოლისთან ერთად გამოიგონა ფორმის **მოცულობის გამოთვლის ახალი მეთოდი,** რომლის საშუალებით გამოიანგარიშა, რა რაოდენობის ბრინჯაო დასჭირდებოდა მონუმენტის ჩამოსხმას. საბოლოოდ მან შექმნა მოდელი, რომელიც თავდაპირველად სასახლის მთავარ მოედანზე იდა. 1499 წელს ფრანგების შემოსევისას ქანდაკებას ჭურვი მოხვდა და მთლიანად განადგურდა.

ლეონარდო და ვინჩის ტვინის ორივე ჰემოსფეროს განსავითარებლად თავისი მეთოდები ჰქონდა:

1. იყავი ცნობისმოყვარე ყველაფრის მიმართ:
2. ეცადე შენიშნო და გამოარჩიო გარღვევები შენივე გამოცდილებიდან და შეცდომებიდან;
3. მუდამ განაახლე, გამოთვალე შენი ემოციების მარაგი;
4. მიიღე და გაიზარე პარადოქსები;
5. გამოიმუშავე გლობალური აზროვნება ტვინის ორივე ჰემოსფეროს გამოყენებით;
6. შეინარჩუნე ცივსისხლიანობა, მენტალური მოქნილობა და გონების სისხარტე.
7. დაიმახსოვრე, რომ სხენებული ექვსი პრინციპი ერთმანეთისგან განუყოფელია და მუდამ იფიქრე მათზე.

,,ფერწერა-ეს პოეზიაა, რომელსაც ვხედავთ ''

ლეონარდოს ეს სიტყვები იმდენად ბევრის მთქმელია, რომ ამას უბრალოდ მეტყველებით ვერ გადმოსცემ..... ეს თვით ფერთა სამყაროს ზეიმია გენიალური ზეიმი, სადაც უკვდავყოფილ სულიერ სილამაზეს ეხდება ფარდა....ლეონარდო საოცარი სულის პატრონი

გახლდათ მე ამ თმაზე მუშაობისას განსაკუთრებული სიამოვნება მივიღე. უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროდ დიდია, უბრალოდ უნდა იცოდე რა გინდა რისთვის იბრძვი შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთო იმისთვის, რომ მიაღწიო დასახულ მიზანს, შრომა- აი ეს ის ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც ყველა ადამიანს დაეხმარება ცხოვრების რთული გზის მარტივად გაკვლევაში, მახსენდება ლეონარდოს სიტყვები: „ბედნიერება იმას ენიჭება, ვინც ბევრს შრომობს"- ამ სიტყვებმა დამაფიქრა და ზოგადად ამ თემამ ჩემში კიდევ უფრო გაზარდა შრომისუნარიანობის მაღლი და ძალა, ყველა ადამიანი გენიალურია, განუმეორებელია, თავისი სულით და პიროვნებით, ყველას ძალუძს ქმნას მნიშვნელოვანი, რომლითაც დაამახსოვრებს სამყაროს თავის სახელსა და გვარს, ამაში კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა მსოფლიო დონის გენიოსმა ადამიანმა ლეონარდო და ვინჩიმ.

„მხოლოდ დიდება ამაღლდება ცად,რამეთუ საქველმოქმედო საქმეები-ღმერთის მეგობრები არიან"

ინფორმაციის წყარო:
sites.google.com,wikipedia.org,angel.ge,burusi.wordpress.com

ილუსტრაცია:

Ucnauri.com, google.ge